გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 136

2025 წლის 10 ოქტომბერი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2024 წლის ოქტომბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2023 წლის ოქტომბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2024 წლის ოქტომბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 15 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო"
Non-profit (non-commercial) Legal Entity "Amenities Agency of Gori Municipality"

წერილის ნომერი: **12-202526697**
თარიღი: **23/09/2025**

ადრესატი: გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბატონო დავით,

თქვენი 15/09/2025 წლის №21-21252587 წერილის პასუხად გიგზავნით, ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო"-ს მიერ 2024 წლის ოქტომბრიდან დღემდე, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს განყოფილებების მიხედვით:

1.სამშენებლო,სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილება.

2024 წლის ოქტომბრიდან დღემდე, სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოეწყო ხელოვნური უსწორმასწორობები და შესაბამისი საგზაო ნიშნები სოფელ ხელთუბანში და სოფელ პატარა გარეჯვარში სკოლასთან.

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოხდა საცხოვრებელი კორპუსებისა და სხვადასხვა მუნიციპალური შენობების სახურავების შეკეთება შემდეგ მისამართებზე: სტალინის გამზ. N-31, N-48, ჩოჩიშვილის ქუჩაზე მდებარე საბავშო ბაღის სახურავი, ყიფიანის ქ. N-15, ცხინვალის გზატკ. N-44, თამარ მეფის მე-5 კვარტ. N-24-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსებში, შარტავას ქ. N-124, გორგასალის ქ. N-5, ვერხვების ლტოლვილთა დასახლებაში მდებარე საბავშვო ბაღში, სოფელ სკრის საჯარო სკოლაში, სოხუმის ქ. N-4.

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოხდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაზიანებული მოსაცდელების შეკეთება შემდეგ ლოკაციებზე: ჭავჭავაძის ქუჩაზე, ბარათაშვილის ძეგლის მიმდებარედ, ვოლოგდის დასახლებაში, ნადირაძის, თბილისისა და კეცხოველის ქუჩებზე და სოფელ ორთაშენში.

ქ. გორში მოხდა დაზიანებული სკამებისა და ურნების შეკეთება-შეღებვა შემდეგ სკვერებში: სტალინის ბაღში, მე-3, მე-5, მე-7 და მე-10 სკოლასთან, თეატრის სკვერში, მერიასთან, სხირელის დარბაზთან, ახალბაღში, ჭავჭავაძის ქუჩაზე გიგის სკვერში, შიოს წყაროზე, სუხიშვილის ქ. N-12, სპორტ-სასახლეში, ამილახვრის ქ. N-9, მელიქიშვილის ქ. N-13, ყიფიანის, ფალიაშვილის, ცაბაძის, გოგებაშვილის, ქარხნის, სამადაშვილის, ვაჩნაძის, ზუბალაშვილების, ანწუხელიძის, ელიოზიშვილის, მუსხელიშვილის, თამარ მეფისა და თარხნიშვილის ქუჩებზე, აგრეთვე ვოლოგდის, კარალეთისა და ვერხვების ლტოლვილთა დასახლებაში მდებარე სკვერებში, სუხიშვილის ქ-ზე მდებარე მინი სტადიონთან, 9 აპრილის სკვერში, გალაქტიონის ხეივანში, ტყვიავის, მუსხელიშვილის, ბარნოვის, გორგასალის და გმირების ქუჩებზე, შინდისის გმირების გამზ. N-1, N-3, N-11, N-13 N-16 N-32, მშვიდობის გამზ. N-1,2, ქუთაისის ქ. N-20, ძმ. რომელაშვილების ქ. N-179, N-1, N-3, N-5, კომბინატის დასახლებაში საჭიდაო დარბაზთან და კორტებთან, სტალინის გამზ. N-5-ის ეზოში, კაჩინსკის ქ. N-51, ყიფიანის ქ. N-11, N-33, 8 აგვისტოს დაღუპულთა სახელობის სკვერში, გორის ციხეზე, კომბინატის ხიდთან ბაზრობასთან, ცხინვალის გზატკეცილზე N-7ა და მადაგონთან, ლომჭაბუკთან,კომბინატის დასახლებაში მეცნიერებათა სკოლასთან, ეთნოგრაფიულ მუზეუმთან, აგრეთვე სოფელ ქვახვრელში და უფლისციხეში მდებარე სკვერებში.

ქ. გორში მერიასთან მდებარე სტადიონზე და სოფ.მერეთში მინი სტადიონზე მოხდა დაზიანებული მავთულბადისა და რკინის კონსტრუქციების აღდგენა.

ქ. გორში დამონტაჟდა და მოხდა დაზიანებული საგზაო ნიშნების აღდგენა შემდეგ ლოკაციებზე : ტყვიავის ქუჩაზე შუქნიშნის მიმდებარედ - „გაჩერება აკრძალულია“, გორიჯვრის ქუჩის შესახვევში N-14-ის მიმდებარედ

„შესვლა აკრძალულია“, აღმაშენებლის გამზირზე და მელიქიშვილის ქუჩაზე, შინდისის გმირების ქ. N-16, სუხიშვილის ქ. N-1, N-18 და პოლიციასთან, თბილისის ქ. N-31, მშვიდობის გამზ. პოლიციის მიმდებარედ, კვერნაკის დასახლებაში სკვერთან, ფოსტის მოპირდაპირედ პსპ-თან, ყიფიანის, მუსხელიშვილის, ჭანტურიას, გმირების, გოგებაშვილის, ქუთაისის და ნანეიშვილის ქუჩებზე, N-7 მაღაზიის მიმდებარედ, ცხინვალის გზატკ. რომპეტროლთან, გორმედის შესასვლელში, გალერეასთან და "აგრო მოლის" მიმდებარედ, სუხიშვილის ქუჩაზე გვირილასთან, თამარ მეფის ქუჩაზე N-61, N-94 და შუქნიშანთან, სამხატვრო სკოლასთან, სუხიშვილისა და თბილისის ქუჩებზე ქვეითთა გადასასვლელის საგზაო ნიშნები, თამარ მეფისა და აბრამიშვილის ქუჩებზე გაჩერების აღმნიშვნელი საგზ.ნიშნები, ჭავჭავაძის ქ. N-76, N-87,ძმ. რომელაშვილების ქ. N-113, 122, 167 და 178 - ამკრძალავი საგზაო ნიშნები.

ქ. გორში, სანიაღვრე არხებზე მოხდა ცხაურების მოწყობა და დაზიანებული ცხაურების აღდგენა ;სტალინის გამზირზე ლიბერთი ბანკის მიმდებარედ, მე-9 სკოლასთან, ნინოშვილის ქუჩაზე, ქეთევან წამებულისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე, ცხინვალის გზატკეცილზე მადაგონის მიმდებარედ, გურამიშვილის ქ. „მაგნიტის“ მიმდებარედ, წერეთლის ქუჩის შესასვლელში და რესტორან ბერიკონთან, კომბინატის ხიდთან ბაზრობასთან, უფლისციხის ქუჩაზე, გურამიშვილის ქ. მაგნიტის მიმდებარედ, ზუბალაშვილების ქუჩაზე, სადგურზე კეცხოველისა და ჯავახიშვილის ქუჩებზე.

ქ. გორში, საცხოვრებელ კორპუსებში მოხდა საწვიმარი მილების შეკეთება შემდეგ მისამართებზე: ქ. გორში, N-6, N-13, N-15 და N-17 საბავშვო ბაღის შენობებში და სოფელ ძევერის საბავშვო ბაღის სახურავზე, ცხინვალის გზატკეცილი N-11-ა, N-15-ბ, თამარ მეფის ქ. N-126, შინდისის გმირების გამზ. N-3, N-6, გორგასალის ქ. N-6, თარხნიშვილის ქ. N-18, მშვიდობის გამზ. N-13, N-14, N-21, N-27, ჭავჭავაძის ქ. N-28, ძმები რომელაშვილების ქ. N-3, N-6, N-179, თამარ მეფის მე-5 კვარტ. N-22, ყიფიანის ქ. N-16, სტალინის გამზ. N-31.

ქ. გორში და სოფლებში, სკვერებში და სატრენაჟორო კომპლექსში მოხდა დაზიანებული საბავშვო ატრაქციონებისა და სავარჯიშო მოწყობილობების შეკეთება შემდეგ მისამართებზე: ქ. გორში, ვოლოგდის დასახლებაში, სოფ.ტყვიავში მდებარე სკვერში, შინდისის გმირების გამზ. N-3, N-16, N-22, N-32, სტალინის გამზ. N-8, ძმები რომელაშვილების ქ. N-179, ჯავახიშვილისა და გალუსტაშვილის ქუჩებზე მდებარე სკვერებში, მშვიდობის გამზ. N-1ა, ცხინვალის გზატკ.-სამხედრო ბინებთან,ახალბაღში, ქარხნის, კეცხოველის, ღამბარაულისა და ყიფიანის ქუჩებზე.

ქ. გორში მოხდა საგზაო ბოძკინტების მონტაჟი და დაზიანებულების აღდგენა შემდეგ ლოკაციებზე: ქ. გორში გურამიშვილის ქუჩაზე ცირკის მიმდებარედ და ძველ ხიდთან ერისონის მხარეს, ცხინვალის გზატკეცილზე პაპიტაშვილის ქუჩის კვეთაზე, გოგებაშვილის ქუჩაზე ეკლესიის მიმდებარედ, აგრეთვე ახალბაღის ტერიტორიაზე სტადიონის მიმდებარედ და 21-ე ბაზართან დამონტაჟდა ბეტონის ბოძკინტები, ხოლო გმირების ქუჩაზე მოხდა საგზაო ბოძკინტების დემონტაჟი.

ქ. გორში, ახალბაღის ტერიტორიაზე მოხდა კარებისა და აბრების აწყობა - მონტაჟი და მოეწყო სტიკერები, ხოლო განათების ბოძებისთვის მოხდა სანათის სამაგრების დამზადება, აგრეთვე სტალინის ბაღში და ბარათაშვილის ძეგლთან არსებულ სკვერში მოეწყო საკანალიზაციო არხი.

სოფელ ატენში შეკეთდა დაზიანებული ხიდი, თედოწმინდაში და ტინისხიდში მდებარე სკვერებში, აგრეთვე ქვ. არცევში და მერეთში მინი სტადიონზე შეკეთდა შესასვლელი კარები, ხოლო ქ. გორში ჭავჭავაძისა და გურამიშვილის ქუჩების კვეთაზე მოხდა მოაჯირების დემონტაჟი.

ქ. გორში, მშვიდობის გამზ. N-1ა-ს მიმდებარედ, საკრებულოს შენობასთან, სამეფოს ქ.-ზე 9 აპრილის სკვერში, გიგის სკვერში, გოგებაშვილის ქუჩაზე და კვერნაკის დასახლებაში მდებარე სკვერებში შეკეთდა სასმელი წყლის შადრევნები.

ქ. გორში, სტალინის გამზირისა და ჭავჭავაძის ქუჩის კვეთაზე, აგრეთვე ცხინვალის გზატკეცილზე შუქნიშნის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიღება მოაჯირები.

ქ. გორში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მოხდა ბარათაშვილის ძეგლის ფილის გამაგრება, სტალინის გამზირზე, სპორტ-სკოლასთან მოხდა დაზიანებული შუშის პირამიდების აღდგენა. სოფ. ხიდისთავში დამონტაჟდა განათების ბოძები, ხოლო უფლისციხეში მდებარე სატრენაჟორო კომპლექსში მოხდა დაზიანებული სახურავის აღდგენა.

ქ. გორში, სამეფოს ქუჩაზე მდებარე 9 აპრილის სკვერში და სტალინის გამზირზე დიდების მუზეუმთან ჩატარდა სამღებრო სამუშაოები, ხოლო კეცხოველისა და სამადაშვილის ქუჩების კვეთაზე მდებარე სკვერში მოხდა დაზიანებული ღობის აღდგენა და შეღებვა.

ქ. გორში, სტალინის გამზირზე, მაგთის ოფისის მიმდებარედ მოხდა ჭის თავსახურის მოწყობა, ბესიკის ქუჩაზე მოხდა დაზიანებული ბორდიურებისა და ფილების გამაგრება, აგრეთვე სამხატვრო სკოლასთან და ლომჭაბუკთან შეიღება წრიულ მოძრაობაზე არსებული ბორდიურები, ხოლო საახალწლოდ მოხდა სანტას ქოხების განთავსება და შეღებვა.

ქ. გორში, სტალინის ბაღში, თეატრის სკვერში, შიოს წყაროზე და ბარათაშვილის ძეგლთან მდებარე სკვერში მოხდა შადრევნების რეაბილიტაცია,აგრეთვე შადრევნებისთვის დამონტაჟდა წყლის მატორები

ქ. გორში მოხდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელების (28ც) დემონტაჟი შემდეგ ლოკაციებზე: სტალინის გამზირზე, ჭავჭავაძისა და მშვიდობის ქუჩებზე, შინდისის გზატკეცილზე, სტადიონთან და იუსტიციასთან.

ქ. გორში, სტალინის გამზირზე მე-9 სკოლასთან შეკეთდა დაზიანებული მოაჯირები, აგრეთვე მოხდა სტალინის ბაღის დამცავი ღობის აღდგენა, ხოლო გორიჯვრის ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე და ვერხვების ლტოლვილთა დასახლებაში მდებარე სპორტულ კომპლექსთან მოხდა მოაჯირების შეკეთება

ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილზე მოხდა 15 ერთეული ლითონის ბოძის დემონტაჟი, სამხედრო აკადემიასთან და ვოლოგდის დასახლებაში დამონტაჟდა განათების ბოძები, ბერბუკის გადასახვევთან და სპორტ-სასახლეში დამონტაჟდა ბანერები, ხოლო ახალბაღში დამონტაჟდა აბრები.

ქ. გორში, სადგურის დასახლებაში რკინიგზის ხიდზე და კომბინატის დასახლებაში არსებულ ხიდზე მოხდა მოაჯირებისა და ბორდიურების შეღებვა.

ქ. გორში, ლომჭაბუკის მიმდებარედ ტურისტულ სააგენტოსთან მოხდა ტერიტორიის შემოღობვა, ხოლო სტალინის გამზირზე მდებარე შიოს წყაროზე მოხდა დაზიანებული ჭის თავსახურის აღდგენა, აგრეთვე ბესიკის ქუჩაზე, კორტების მიმდებარედ მოხდა კედლის რეაბილიტაცია - ბაზალტის ფილების გაკვრა, ხოლო კომბინატის კულტურის სახლის კიბეებზე მოხდა ფილების გამაგრება.

ქ. გორში, სადგურის რკინიგზის ხიდზე შეკეთდა დაზიანებული ცხაური - ტემპერატურული შოვი, გორიჯვრის ქ. N-18-ის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელთან დამონტაჟდა სკამი, ხოლო სოფ. აძვში და კოშკებში მოხდა დასახლებული პუნქტის აღმნიშვნელი აბრის განთავსება.

ქ. გორში, იუსტიციის სახლთან შადრევნის გარშემო, ვოლოგდის დასახლებაში მდებარე სკვერში, სტალინის ბაღში, აგრეთვე სტალინის გამზირზე მე-9 სკოლასთან და ლიბერთი ბანკის მიმდებარედ მოხდა დაზიანებული ბორდიურებისა და ფილების გამაგრება.

ქ. გორში, სტალინის გამზ. N-7-ის მიმდებარედ და სპორტ-სკოლასთან მოხდა მოაჯირების მონტაჟი და შეღებვა, აგრეთვე მოაჯირები შეიღება გოგებაშვილის ქუჩაზე არსებულ ხიდებზე და საფეხმავლო გზაზე და გორის ციხის ასასვლელში, ხოლო თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე მოხდა დამცავი კედლის შეღებვა.

ქ. გორში, სამეფოს ქუჩაზე „ქართლის“ მიმდებარედ დამონტაჟდა ბეტონის ბოძკინტები, ხოლო სპორტ-სკოლის შენობაზე მოხდა გარე ფასადის კედლის შეღებვა. ავტბანზე ვისოლის მიმდებარედ განთავსდა 6ც პლაკატი, ხოლო საარჩევნო პლაკატებისთვის მოხდა თუნუქის პირამიდების აწყობა.

სოფელ ხიდისთავში მოხდა რკინის ხიდის შეკეთება, ყიფიანის ქუჩაზე სტადიონის მიმდებარედ სკვერში მოხდა დაზიანებული ღობის აღდგენა, კაჩინკის ქ. N-51-ის ეზოში შეიღება ფანჩატური, მშვიდობის გამზ N-2ა-ს შენობის ფასადიდან მოხდა ტუფის ქვის დაზიანებული დეტალების მოხნა, ხოლო გოგებაშვილის ქუჩაზე მოხდა სარყავი სისტემის მოწესრიგება.

2.ტრანსპორტის განყოფილება.

2024 წლის ოქტომბრიდან დღემდე, ტრანსპორტის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

საანგარიშო პერიოდში ტრანსპორტის განყოფილებას ძირითადად დაეწერა წერილები მერის წარმომადგენლებისაგან ტექნიკით დახმარების თაობაზე, როგორც სარწყავი არხების გასაწმენდად, ასევე სტიქიური ნაგავსაყრელების დასასუფთავებლად, ტერიტორიის მოსასწორებლად და სამშენებლო ნარჩენების გასატანად.
საანგარიშო პერიოდში განყოფილებას დაეწერა 145 წერილი, ვადების დაცვით შესრულებული იქნა 103 წერილი, 18 წერილი ვერ შესრულდა, რადგან აღნიშნულ წერილებში მოთხოვნილი სამუშაოები არ მიეკთვნებოდა ჩვენი სააგენტოს კომეტენციას.

მუნიციპალიტეტის 36 სოფელში გაწმენდილი იქნა 17750 მეტრი სიგრძის შიდა სარწყავი არხი. ხელთუბანში გაიწმინდა ორ ადგილას სარწყავი არხი 2300 მეტრის სიგრძეზე, შინდისში გაიწმინდა სარწყავი არხი 2000 მეტრის სიგრძეზე, არხები გაწმენდილი იქნა სოფლებში: სათემო, ხიდისთავი, ქვემო სობისი, მარანა, სვენეთი, თედოწმინდა, ვარიანი, ვარიანის მეურნეობა, ახალდაბა, ბერბუკი, ქიწნისი, ქვახვრელი, ფლავი, ფლავისმანი, შერთული, მეჯვრისსევი, ყელქცეული, ზეღდულეთი, კარალეთი, მერეთი, ხურვალეთი, ატენი, ზერტი, ახალუბანი, ტინისხიდი, ტყვიავი, ძევერა და სხვა.

მერის წარმომადგენლების მოთხოვნით მოხდა შიდა საუბნო, სავარგულებთან მისასვლელი გზების მოხრეშვა-მოშანდაკება შემდეგ სოფლებში: ატენი, ბოშური, მარანაი, ქვახვრელი, ბერბუკში, ტყვიავი და ტირძნისი.

სტიქიის შედეგად ჩამოტანილი ქვა-ღორღისაგან ორჯერ გაიწმინდა ატენი-ოლოზის გზის მონაკვეთი.

მუნიციპალიტეტის 6 სოფელში: მარანა, ახალდაბა, ბერბუკი, კარალეთი, სკრა და ქვახვრელში გაიწმინდა სტიქიური ნაგავსაყრელი, მათ შორის კარალეთში სამჯერ სხვადასხვა ადგილას. ასევე ქალაქში კომბინატის, ჭალის და წმინდაწყლის დასახლების ტერიტორიაზე ლიკვიდირებულ იქნა სტიქიური ნაგავსაყრელები.

საანგარიშო პერიოდში პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება გაიარა 30 სატრანსპორტო საშუალებამ.

ქალაქის ტერიტორიაზე ყოველდღიურად მორიგეობს ორი ერთეული რობოტი და ერთი თვითმცლელი. ზაფხულის პერიოდში ყოველდღიურად დილის საათებში დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით ხდება ქუჩების მორეცხვა და მწვანე ნარგავების მორწყვა. ზამთრის პერიოდში საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების მიერ მითითებულ ადგილებში დაყრილი იქნა ტექნიკური მარილი.

3.გარე და დეკორატიული განათების განყოფილება.

2024 წლის ოქტომბრის თვიდან დღემდე გარე და დეკორატიული განათების განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში:

ყოველდღიურად საღამოს საათებში ხორციელდება ქალაქის შემოვლა ღამის განათების მდგომარეობის

შესწავლის მიზნით, რეგულარულად გვაქვს კონტაქტი მერის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში.

აღდგენილია დაზიანებული ხაზები სოფლებში: სკრა, ხიდისთავი, კარალეთი, ტინისხიში, ფლავისმანი, ტირძნისი, ნიქოზი, დიცი და სხვა. ასევე სისტემატიურად მიმდინარეობს დაზიანებული მაგნიტური გამშვებისა და ელ. გამშვების შეცვლა (აღდგენა) ქალაქსა და სოფლებში.

2024 წლის დეკემბრის თვეში, ჩვენი სააგენტოს მიერ საახალწლოდ მოირთო ქალაქის ცენტრალური ქუჩები და საახალწლო ნაძვის ხეები, 2025 წლის იანვრის თვეში ასევე განხორციელდა საახალწლო განათებების და ნაძვისხის დემონტაჟი. ასევე მერის წარმომადგენლების მოთხოვნის საფუძვლებზე მიმდინარეობდა ქალაქსა და რაიონებში სანათების შეცვლა.

საანგარიშო პერიოდში ჩვენი განყოფილების მიერ მოხდა 585 წერილის შესრულება.

სტალინის ქუჩაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელებში მოეწყო განათება.

დაყენდა/შეიცვალა ნათურები და დეკორატიული ბურთულები შემდეგ სკვერებში: სტალინის, თეატრის, შიოს წყაროს, მე-3 სკოლის, გორგასლის, კაჩინსკის, კვერნაკის, ფლავისმანის და სხვა სკვერებში.

ჭალის დასახლებაში შეიცვალა ძველი სანათები ახალი დიოდური სანათებით.

მოხდა ახალი სკვერების განათებაზე დაერთება: ვოლოგდის დასახლების სკვერის და შინდისის გზ. არსებული სკვერის.

მტკვრის ხიდი განათდა ლედ სანათებით.

განათდა სამხატრო სკოლის შენობა და მიმდებარე ტერიტორია.

სისტემატიურად მიმდინარეობს გორსა და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მინი სტადიონების განათება, აღდგენა / განახლება.

საანგარიშო პერიოდში სოფლებსა და ქალაქში შეცვლილ იქნა: 1244 ცალი ეკო ნათურა, სოდიუმის ნათურა 37 ცალი, დროსელი 120 ცალი, სადენი 3540 მეტრი, იზუ იგნატორი 13 ცალი, მაგნიტური ჩამრთველი 128 ცალი, ავტომატიური ამომრთველი 161 ცალი, ლედ ნათურა 689 ცალი, ლედ პროჟექტორი 268 ცალი, ლედ სანათი 1313 ცალი, ფოტორელე 15 ცალი და სხვა დამხმარე ელ მასალები.

4. დასვენების პარკი „ახალბაღი“-ის განყოფილება.

დასვენების პარკ ახალბაღის განყოფილებაში საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

· დაირგო ასი ძირი ნეკერჩხალი და იფანი;

· გაისხლა და მოიწმლა ხე-მცენარეები;

· კირით დამუშავდა და შეიღება ხის ძირები;

· ირწყვება და ითიბება ბალახის საფარი;

· შეიცვალა დაზიანებულ საფრქვევები;

· საპირფარეშოში დამონტაჟდა ელექტრო ხელის საშრობი;

· შესაბამის ადგილებზე დაიკიდა სახანძრო უსაფრთხოების დაფები;

· ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს პარკის ტერიტორიის დაგვა - დასუფთავება;

· რეგულარუალდ მოწმდება და ტექნიკური ზედამხედველობა ხორციელდება შადრევნებზე და სარწყავ სისტემაზე;

· კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა და ექსპლუატაციაში შევიდა პარკის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონები, დაიდგა სალარო ჯიხური და აღნიშნული ატრაქციონები გაიცა იჯარით.

5. დასუფთავების განყოფილება.

2024 წლის ოქტომბრიდან დღემდე, დასუფთავების განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

· დღეის მდგომარეობით დასუფთავების განყოფილების მიერ ყოველდღიურად იგვება გორის 62 ქუჩა 85 მეეზოვის მიერ.

· ვემსახურებით მუნიციპალიტეტის 78 სოფელს.

· დაგვილი მასის და მოსახლეობის საყოფცხოვრებო ნარჩენების გატანას გორს და მუნიციპალიტეტის სოფლებს ემსახურება 8 ერთეული თვითმვლელი და 8 ერთეული ურნების დამცლელი სპეციალური ავტომანქანა 45 მტვირთავი მუშის დახმარებით.

· რეგულარულად იწმინდება სანიაღვრე არხები.
· შემოდგომის სეზონზე, ფოთოლცვენის დროს, იქ სადაც მუდმივი წყლის დინება არ არის თითქმის

ყოველდღიურად იგვება სანიაღვრე არხები და სუფთავდება დაგვილი მასისგან, ასეთი ქუჩებია: სტალინის გამზირი, ნინოშვილის ქუჩა, აღმაშენებლის ქუჩა, რუსთაველისა და რობაქიძის ქუჩები. ასევე ოქტომბერ-ნოემბრის თვეში რეგულარულად ვამუშავებთ ფოთლისამწოვ სპეციალიზებული ავტომობილს 2 მუშით და ქალაქის ტერიტორიიდან გაგვაქვს ნაგავსაყრელზე დაახლოებით 60 ტონა ფოთოლი.

· რეგულარულად იწმინდება ბორდიურის ძირები, ფეხით სავალი ნაწილები სუფთავდება მტვრისგან და ბალახისგან, ყოველდღიურად იგვება ქალაქში მდებარე ხიდები.

· ქალაქის ტერიტორიაზე მინიმუმამდე შემცირდა სტიქიური ნაგავსაყრელები, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ქალაქის გარე უბნებში მობნეული მსუბუქი მასის აკრეფა პოლიეთილენის ტომრებში.

· პერიოდულად, პოლიეთილენის ტომრების გამოყენებით მუშების დახმარებით, ხდება სოფლებში მობნეული მსუბუქი მასის აკრეფა. 2023 წლის ოქტომბრიდან დღემდე აღნიშული სამუშაოები განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილ სოფლებში, შემდეგი პერიოდულობით: ტყვიავი - 2 ჯერ, კარალეთი 2 - ჯერ, მეჯვრისხევი - 1 ჯერ, ვარიანი - 3 ჯერ, შინდისი - 1 ჯერ, ქვახვრელი - 1 ჯერ, ხიდისთავი - 1 ჯერ, ბერბუკი- 2 ჯერ, მეღვრეკისი - 1-ჯერ, ასევე საჭიროების მიხედვით ვასუფთავებთ სოფელ გორიჯვრის და წმინდა გიორგის ეკლესიისაკენ მიმავალ საავტომობილო გზას და მის მიმდებარე ტერიტორიას.

· გაწმენდილი და ლიკვიდირებული იქნა, გორში და მუნიციპალიტეტის სოფლებში, მერიიდან შემოსული წერილების და ჩვენი სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებული მცირე სტიქიური ნაგავსაყრელები (ჯამში 5 ლოკაცია).

· საანგარიშო პერიოდში გორიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან გატანილია დაახლოებით 42 000 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი და დაგვილი მასა.

· საანგარიშო პერიოდში, რამდენჯერმე გაიწმინდა 6000 გრძ/მ სანიაღვრე არხი, აქედან ყოველდღიურად იწმინდება 1000 გრძ/მ დანარჩენი კი საჭიროების მიხედვით. ძლიერი ნალექის შემდეგ მოწმდება სანიაღვრე არხები და იწმინდება.

· გავწმინდეთ მთელი ქალაქის ტერიტორიის ბორდიურები ბალახისა და დალექილი მიწისაგან. ყოველდღიურ რეჟიმში ვახორციელებთ სკვერების, სავალი ნაწილების გაწმენდას და დეკორატიული ურნების დაცლას ნარჩენებისგან.

· გაიწმინდა ვერხვების და წმინდაწყლის დევნილების დასახლების ტერიტორიები სტიქიური ნაგავსაყრელებისგან.

· დასუფთავდა კომბინატის დასახლებაში კულტურის სახლის მიმდებარედ სკვერები და მოედნები.

· 04.05.2024 წელს დასუფთავდა გორიჯვრის მიმართულებით ტაძრამდე სავალი ადგილები და სანიაღვრე არხები, სპეციალიზირებული სარწყავი მანქანებით მოირეცხა საავტომობილო გზა.

· დასუფთავდა კარალეთის დევნილთა დასახლებაში საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორია.

· დასუთავდა ვოლოგდის დასახლების ტერიტორია და მიმდებარე სკვერები.

· 3-ჯერ დასუფთავდა ჭალის დასახლებაში სპორტ დარბაზის ტერიტორია.

· გასუფთავდა ნაგავსაყრელისკენ მიმავალი გზა.

· 2-2 ჯერ გაიწმინდა სოფელი კარალეთის შესასვლელი, სოფელი ტყვიავის იუსტიციის სახლის მიმდებარედ სკვერები და მემორიალის ტერიტორიები.

· 2-ჯერ მოხდა იაკობ გოგებაშვილის სახლმუზეუმის მიმდებარე ტერიტორიის დაგვა -დასუფთავება.

· სოფლებში დაზიანებული ურნები ამოიცვალა ჩვენი სააგენტოს მიერ აღდგენილი 30 ცალი 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერებით, დაზიანებულ ურნებს შეუცვალეთ 42 ცალი სავალი თვალი.

· ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე განთავსებულია 1340 ცალი 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერი, აქედან გორის ტერიტორიაზე 586 ცალი. სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1926 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი.

· გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე გაიწმინდა სანიაღვრე არხები: გაბაშვილის, იოსებიძის, ნინოშვილის, კეცხოველის ქუჩებზე, სადგური ელექტროფიკაციის ტერიტორიაზე, აღმაშენებლის გამზირზე, სადგურის დასახლებაში ამოიწმინდა სალექარი, ცხინვალის გზატკეცილზე რეგულარულად იწმინდება სალექარები, სოფელ ხიდისთავში ჩინეთის უბნის არხი გაიწმინდა ტექნიკის დახმარებით.

· სტიქიური ნაგავსყრელებისგან ტექნიკის დახმარებით გავასუფთავეთ გორი და გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: საქაშეთი, ახალდაბა, სოფელი ქვახვრელი, ვერხვების დევნილთა დასახლება, წმინდაწყლის დევნილთა დასახლება.

· გავასუფთავეთ გათიბული ბალახისგან და გავიტანეთ სპეც ტექნიკით ფოთოლი შემდეგი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდან: N1, N3, N4, N5, N6, N9, N11, N12, N13, N14, N15, N16, N17, N19.

6. მონიტორინგის განყოფილება.

მონიტორინგის განყოფილება ახორციელებს მონიტორინგს სააგენტოს წესდებით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების სრულყოფილ შესრულებაზე;

მონიტორინგის სამსახური ახორციელებდა სააგენტოს წესდებით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების სრულყოფილ შესრულებას.

უწევდა მონიტორინგს სააგენტოში დასაქმებულების მიერ მათთვის სააგენტოში მოქმედი წესდებით, შინაგანაწესით და დებულებით განსაზღვრული მოვალეობების სრულყოფილ შესრულებას.

უზრუნველყოფდა სააგენტოს მიერ დადგენილი სამუშაოების ორგანიზებასა და მონიტორინგს.

ახორციელებდა მონიტორინგს სააგენტოს თითოეული განყოფილების მიერ დადგენილ, შესასრულებელ და შესრულებულ სამუშაოებზე.

ახორციელებდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულებაზე მონიტორინგს.

შეისწავლა სააგენტოში შემოსული კორესპონდენცია და კომპეტენციის მიხედვით, შესაბამისი განყოფილების მეშვეობით, უზრუნველყოფდა წერილში მოთხოვნილი სამუშაოების შესრულებას.

მონიტორინგის განყოფილება მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა გაწერილი გეგმის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის განყოფილების მიერ გაწეული მონიტორინგის ანგარიში თვეების და განყოფილებების მიხედვით:

ოქტომბრის თვეში მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა შემდეგ სამუშაოებზე:

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთ-ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ კარალეთში გაიწმინდა სარწყავი არხი.

სოფელ მეჯვრისხევში ტრანსპორტის განყოფილების მიერ მოიხრეშა გზა.

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის გამნყოფილების მიერ შესრულებულ ერთ ერთ სამუშაოს კერძოდ, სოფელ მერეთში გზის მოხრეშვის სამუშაოს.

გზის მოხრეშვა მოხდა ასევე სოფელ რეხაში და სოფელ მარანაში.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ ძევერაში გზის მოხრეშვის სამუშაოები შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ ხიდისთვში გაიწმინდა სანიაღვრე არხი, აღნიშნული სამუშაო შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

სამშენებლო, სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილების მიერ, ქალაქ გორში მოხდა საგზაო ნიშნების აღდგენა-განახლება, აღნიშნული სამუშაო შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

ნოემბრის თვეში მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა შემდეგ სამუშაოებზე:

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთ-ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ კარალეთში, სოფელ მარანაში და ფლავისმანში გაიწმინდა სანიაღვრე არხები.

სოფელ ფლავისმანში ასევე ტრანსპორტის განყოფილების მიერ გაიწმინდა სარწყავი არხი.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ, ასევე დასუფთავდა ქალაქ გორის სასაფლაოს ტერიტორია და მოხდა ნარჩენების გატანა.

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის გამნყოფილების მიერ შესრულებულ ერთ ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სანერგე მეურნეობაში მოხდა შეშის გატანა და სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე გადაცემა.

ტრანსპორტის განყოფილებამ სოფელ ხურვალეთში დაასუფთავა, სკოლის მიმდებარე ტერიტორია ხის ნამტვრევებისგან, აღნიშნული სამუშო შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ გზის მოხრეშვა მოხდა სოფელ უფლისციხეში, სოფელ ქვახვრელში და სოფელ ატენში.

სამშენებლო განყოფილების მიერ ქალაქ გორში ჭავჭავაძის და ძმები რომელაშვილების ქუჩებზე დაყენდა საგზაო ნიშნები., აღნიშნული სამუშაოები შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა სამშენებლო გამნყოფილების მიერ შესრულებულ ერთ ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც ქალაქ გორში ვოლოგდის და წმინდაწყლის ლტოლვილთა დასახლებაში მდებარე სკვერებში აღდგენილ იქნა დაზიანებული სკამები.

სამშენებლო განყოფილების მიერ, ქალაქ გორში მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე, არდგენილ იქნა დაზიანებული ბორდიურები.

სამშენებლო განყოფილების მიერ ქალაქ გორში წმინდაწყლის დასახლებაში ყიფიანის N16 და თამარ მეფის მე-5 კვარტალში არსებულ ერთ ერთ კორპუსზე აღდგენილ იქნა საწვიმარი მილი, აღნიშნული სამუშაო შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

დეკემბრის თვეში მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა შემდეგ სამუშაოებზე:

სოფელ ფლავისმანში ტრანსპორტის განყოფილების მიერ გაიწმინდაა სარწყავი არხი.

ქალაქ გორში, წმინდაწყლის დასახლებაში დასუფთავების და ტრანსპორტის განყოფილების მიერ დასუფთავდა რამდენიმე ლოკაცია.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ თედოწმინდაში მოიხრეშა გზა.

სოფელ ხიდისთავში, გამწვანების და ტრანსპორტის განყოფილებების მიერ მოიჭრა 2 (ორი) ხე.

ტრანსპორტის განყოფილებამ სოფელ მეჯვრისხევში გაჭრა სანიაღვრე არხი.

ქალაქ გორში გიორგი ბრწყინვალის ქუჩაზე გამწვანების და ტრანსპორტის განყოფილების მიერ მოიჭრა ხე.

სამშენებლო, სარეაბილიტაციო სამუშაოების და გარე და დეკორატიული განათების განყოფილებებმა ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით უზრუნველყვეს ქალაქის განათება, ასევე ნაძვის ხის მორთვა განათება.

იანვრის თვეში მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა შემდეგ სამუშაოებზე:
მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთ-ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ რეხაში და სოფელ ხიდისთავში გაიწმინდა სანიაღვრე არხი.
ასევე ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ თედოწმინდაში გაიწმინდა სარწყავი არხი.
ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ ქვაბრელში დასუფთავდა და მოიხრეშა შიდა გზები.
მონიტორინგის განყოფილებამ, მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის გამნყოფილების მიერ შესრულებულ ერთ ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც ქალაქ გორში, კომბინატში გრიბოედოვის ქუჩიდან მე- 7 სკოლამდე მოხდა გზების და ჩიხების დასუფთავება.
ქალაქ გორში ვერხვების ლტოლვილების დასახლებაში ტრანსპორტის და მონიტორინგის განყოფილების მიერ ნაგვისგან დასუფთავება ურების მიმდებარე ტერიტორიები.
ტრანსპორტის და დასუფთავების განყოფილებების მიერ ბერბუკში ორ ლოკაციაზე ასევე ჭალაში რაგბის სტადიონის მიმდებარედ, წმინდაწყლზე სამხედრო პოლიციის მიმდებარედ, ქალაქ გორშო წმინდაწყალზე მე- 5 სკოლის მიმდებარედ, შაფთოშვილის ქუჩაზე დენის გადამცემ შენობასთან ე.წ. (კიოსკი) მიმდებარედ ტ დასუფთავდა ურების მიმდებარე ტერიტორიები.
ტრანსპორტის, დასუფთავების და მონიტორინგის განყოფილებების მიერ წმინდაწყალზე კერძოდ, ყიფიანის ქუჩაზე დასუფთავდა ბორდიულების ძირში უხვი ნალექის მიერ დაბინძურებული ქუჩები.
სამშენებლო, სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილების მიერ, აღდგენილ იქნა ქალაქ გორში, ცხინვალის გზატკეცილ 11^{ა} -ში საწვიმარი მილი ე.წ. (ჟოლოპი).
ქალაქ გორში სამშენებლო, სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილების მიერ მოხდა მე- 6 და მე- 17 ბაგა - ბაღის საწვიმრის აღდგენა, შეცვლა.
სამშენებლო, სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილების მიერ, ქალაქ გორში დასვენების პარკ „ახალბაღის“ ტერიტორიაზე, ასევე ქალაქის მასშტაბით ყველა სკვერშიდაიდგა და აღდგენილ იქნა: სკამები, ურნები და საგზაო ნიშნები.
გამწვანების და სანერგე მეურნეობის განყოფილების მიერ გორში არსებულ შემდეგ ქუჩებზე: თბილისის, თოიძის, აბრამიშვილის, შაფთოშვილის, ამილახვრის, თამარ მეფის, ჯუღაშვილის, ახალბაღში, სანერგე მეურნეობაში მოხდა შეშის დახერხვა, სოფელ თორტიზაში და სოფელ ბერბუკში სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიებზე ხეების ჭრა, ტოტების ჩამოჭრა და გადაბელვა.

თებერვლის თვეში მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა შემდეგ სამუშაოებზე:

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ სკრაში გაიწმინდა სარწყავი არხი.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ მერეთში, ახალი სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფელ არცევში, სოფელ ტირძნისში და სოფელ შავშვებში მოიხრეშა და დასუფთავდა შიდა გზები.

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის გამნყოფილების მიერ შესრულებულ ერთ ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ პატარა გარეჯვარში დასუფთვდა ტაძრის მიმდებარე ტერიტორია.

სოფელ შავშვებში ტრანსპორტის და მონიტორინგის განყოფილების მიერ განახორციელდა ნაგავ საყრელის ლიკვიდაცია.

ქალაქ გორში, გურამიშვილის ქუჩაზე გამწვანების და სანეგე მეურნეობის და მონიტორინგის განყოფილებების მიერ მოხდა ხის ჭრა და გასხვლა.

ასევე დასვენების პარკ ახალ-ბაღის ტერიტორიაზე განხორციელდა ხეების გასხვლა-ფორმირება.

ტრანსპორტის და მონიტორინგის განყოფილების მიერ ქალაქ გორში ტრაქტორის საშუალებით მოხდა სასაფლაოს ტერიტორიის დასუფთავება.

ტრანსპორტის და მონიტორინგის განყოფილებების მიერ ქალაქ გორში, ჭალის ტერიტორიაზე ტრაქტორის მეშვეობით ხდებოდა მოყინული გზების გაწმენდა.

ასევე რამდენიმე დღის განმავლობაში, მონიტორინგის და ტრანსპორტის განყოფილების მიერ დღე-ღამის განმავლობაში უხვი ნალექის გამო (თოვლის გამო) ქუჩებზე ახდენდნენ ტექნიკური მარილის დაყრას.

მარტის თვეში მონიტორინგის განყოფილების მიერ გაწეული მონიტორინგის ანგარიში განყოფილებების მიხედვით:

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთ-ერთი სამუშაოს, რომლის დროსაც ქალაქ გორში თოვლის შემდეგ დაყრილი ხრეშისგან ტრაქტორით დაასუფთავდა ქალაქი.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ, სოფელ ქვახრელში და ფლავში გაიწმნდა სარწყავი არხი, აღნიშნული სამუშაოს შესრულება შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

ასევე ტრანსპორტის განყოფილების მიერ, სოფელ შინდისში ტრაქტორის დახმარებით მოხდა სარწყავი არხის გაწმენდვა, აღნიშნული სამუშაოს მიმდინარეობა შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

სოფელ ხელთუბანში, გარეჯვარში, ბერშუეთში, ძევერაში და სოფელ რეხაში ტრანსპორტის განყოფილების მიერ, მოხდა სარწყავი არხის გაწმენდვა, აღნიშნული სამუშაოს შესრულება შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

ასევე ტრანსპორტის განყოფილების მიერ, სოფელ კარალეთში და სოფელ სვენეთში მოხდა სარწყავი არხის გაწმენდვა, აღნიშნული სამუშაოს შესრულება შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ ვარიანში, ახალდაბაში და მეჯვრისხევში გაიწმინდა სანიაღვრე არხი.

სოფელ ტირძნისში მონიტორინგის და ტრანსპორტის განყოფილების მიერ, გრეიდერით მოსწორდა გზა.

მონიტორინგის და ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ ქვემო არცევში, დასუფთავდა და მოიხრეშა სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის გზა.

სოფელ ტინისხიდში ტრანსპორტის და მონიტორინგის განყოფილების მიერ დასუფთავდა სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორა.

ტრანსპორტის და მონიტორინგის განყოფილებების მიერ, ქალაქ გორში დასუფთავდა სასაფლაოს ტერიტორია.

გამწვანების, ტრანსპორტის და მონიტორინგის განყოფილებების მიერ, ქალაქ გორში სხვადასხვა ლოკაციაზე, ასევე დასვენების პარკ ახალ-ბაღის ტერიტორიის დასუფთავება, ხეების გადაბელვა, გაკაფვა და შეკირვა.

აპრილის თვეში მონიტორინგის განყოფილების მიერ გაწეული მონიტორინგის ანგარიში განყოფილებების მიხედვით:

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის და გამწვანების განყოფილების მიერ შესრულებულ ერთერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ ხელთუბანში გაიწმინდა სარწყავი არხი, იმავე სოფელშივე სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიჭრა ხე.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ, სოფელ რეხაში გაიწმინდა სარწყავი არხი.

გორში ტრანსპორტის და გამწვანების განყოფილების მიერ სასაფლაოს ტერიტორიაზე მოხდა გამხმარი ხეების მოჭრა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ, სოფელ ახალდაბაში გაიწმინდა სანიაღვრე არხი.

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის, გამწვანების და დასუფთავების განყოფილებების მიერ შესრულებულ ერთერთი სამუშაოს, რომლის დროსაც დასუფთავდა გორიჯვრის ეკლესიის მისასვლელი გზა და გზის მიმდებარე ტერიტორია.

ტრანსპორტის და მონიტორინგის განყოფილებებმა, სოფელ ქიწნისში, სოფელ ახალდაბაში, სოფელ ვარიანში და სოფელ ყელქცეულში განახორციელეს სარწყავი არხის გაწმენდითი სამუშაოები.

მაისის თვეში მონიტორინგის განყოფილების მიერ გაწეული მონიტორინგის ანგარიში განყოფილებების მიხედვით:

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთ-ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც ქალაქ გორში დასუფთავდა სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია.

ტრანსპორტის და მონიტორინგი განყოფილებების მიერ, სოფელ ქიწნისში,სოფელ შერთულში, სოფელ ქვახვრელში და სოფელ მეჯვრისხევში გაიწმინდა სარწყავი არხები.

მონიტორინგის და ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ კარალეთში დევნილთა დასახლებაში ტრაქტორით გაიწმინდა გზა.

ასევე სოფელ კარალეთში ტრანსპორტის განყოფილების მიერ გაიწმინდა სარწყავი არხი.

სოფელ გორიჯვარში ტრანსპორტის, გამწვანების, დასუფთავების და მონიტორინგის განყოფილებების მიერ მოხდა ტექნიკით ტაძრის მისასვლელი გზის დასუფთავება, წვიმის შემდგომ ჩამოშლილი მიწიანი და ხრეშიანი ნალექისგან გაწმენდვა.

გამწვანების და ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ გარეჯვარში განხორციელდა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზეე ხის ჭრა.

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა, ტრანსპორტის და სამშენებლო, სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილებების მიერ შესრულებულ ერთერთ სამუშაოს, რომლის დროსაც ქალაქ გორში სხვადასხვა ლოკაციაზე მოხდა გაჩერებების დემონტაჟი.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ შავშვებში ჩაიყარა მილები.

სამშენებლო, სარეაბილიტაციო სამუშაოების და ტრანსპორტის განყოფილებების მიერ დასვენების პარკ „ახალბაღში“ მოხდა წყლის მილის აღდგენა.

ივნისის თვეში მონიტორინგის განყოფილების მიერ გაწეული მონიტორინგის ანგარიში განყოფილებების მიხედვით:

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთ-ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ ხიდისთავში გაიწმინდა სარწყავი არხი.

ტრანსპორტის და დასუფთავების განყოფილებების მიერ, ქალაქ გორში, გურამიშვილის ქუჩაზე გაიწმინდა სანიაღვრე არხი.

სანიაღვრე არხის გაიწმინდა ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ სათემოში, აღნიშნული შემოწმებული იქნა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ ზერტში დასუფთავდა სტიქიური ნაგავსაყრელი.

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ მარანაში გაიწმინდა სარწყავი არხი და გზა.

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთ-ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ ოლოზში გრეიდერის მიერ მოხდა გზის მოსწორება.

ასევე ტრანსპორტის და მონიტორინგის განყოფილებების მიერ სოფელ ხურვალეთში,სვენეთში, სოფელ ქვეში, სოფელ ტირზნისში, სოფელ ქვახრელში სოფელ ფლავში,სოფელ თედოწმინდაში და სოფელ მერეთში გაიწმინდა სარწყავი არხები.

ივლისის თვეში მონიტორინგის განყოფილების მიერ გაწეული მონიტორინგის ანგარიში განყოფილებების მიხედვით:

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთ-ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ შავშვებში მოხდა სტიქიური ნაგავსაყრელის დასუფთავება.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ, სოფელ ატენში, ქვემო ხვითში და სოფელ ლევიტანაში უხვი ნალექის შედეგად დაგროვილი ქვაღორღისგან დასუფთავდა გზა.

სოფელ ძევერაში, მარანაში, სოფელ მეჯვრისხევში, სოფელ ზერტში, სოფელ ქიწნისში, სოფელ ხურვალეთში, სოფელ ვარიანში და სოფელ ნაჭარმაგევში ტრანსპორტის განყოფილების მიერ გაწმინდა სარწყავი არხები, აღნიშნული შემოწმებული იქნა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

ტრანსპორტის და დასუფთავების განყოფილების მიერ, ქალაქ გორში სხვადასხვა ლოკაციაზე, მთელი ქალაქის მასშტაბით შესაბამისი ტექნიკით დაასუფთავეს ნაგვის ურნების გარშემო ტერიტორიები.

ტრანსპორტის და დასუფთავების განყოფილებებმა დაასუფთავეს, კომბინატის დასახლებაში კერძოდ, ნარკოლოგიური კორპუსის მიმდებარე ტერიტორია.

ტრანსპორტისა და დასუფთავების განყოფილებების მიერ დასუფთავდა კვერნაქის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია, აღნიშნული შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ კარალეთში საჭირო ტექნიკით კერძოდ, გრეიდერით მოსწორდა გზა.

სოფელ ატენში, უხვი ნალექის გამო დაგროვილი ნარჩენებისგან, ტრანსპორტის განყოფილების მიერ გაიწმინდა გზები და სანიაღვრე არხები.

სოფელ ბერბუკში სკოლის ტერიტორიაზე იჭედებოდა წყალი, გამტარიანობის უზრუნველსაყოფად, ტრანსპორტის განყოფილების მიერ ჩაისვა მილი.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ არბოში დასუფთავდა მისასვლელი ხიდის მიმდებარე ტერიტორია.

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის და გამწვანების განყოფილებების მიერ შესრულებულ ერთ -ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც დასუფთავდა სოფელ თედოწმინდის და ვარიანის მისასვლელი გზები, ასევე ვარიანში დასუფთავდა გამწვანების სამუშაოები ჩატარდა მუზეუმის ტერიტორიაზე.

აგვისტოს თვეში მონიტორინგის განყოფილების მიერ გაწეული მონიტორინგის ანგარიში განყოფილებების მიხედვით:

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთ-ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ ტყვიავში და სოფელ მარანაში ტრაქტორით მოსწორდა სავარგულებთან მისასვლელი გზები.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ ახალდაბაში, სოფელ თედოწმინდაში, სოფელ მეჯვრისხევში, კარალეთში, ატენში, სათემოში, ხურვალეთში, სოფელ ფლავში, ზერტში, ტყვიავში და სოფელ ოლოზში გაიწმინდა სარწყავი არხები.

სოფელ ძევერაში და სოფელ სათემოში ტრანსპორტის განყოფილების მიერ გაიწმინდა სანიაღვრე არხები. არნიშნული სამუშაოს შესრულება შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

მონიტორინგის და ტრანსპორტის განყოფილებების მიერ, სოფელ სკრაში ლიკვიდირებულ იქნა სტიქიური ნაგავსაყრელი.

სოფელ ბოშურში, სოფელ მეჯვრისხევში, სოფელ ზემო ხვითში, ფაბრიკის დასახლებაში და სოფელ ძევერაში სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტის განყოფილების მიერ, შესაბამისი ტექნიკით (გრეიდერით) მოხდა გზის მოსწორება მოხრეშვა.

ასევე სოფელ სობოსში ტრანსპორტის განყოფილების მიერ შეასრულეს საპლანტაციო გზების მოხრეშვა მოსწორება.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ ხიდისთავში დანაგვიანებული ტერიტორია დაასუფთავეს. არსებული სამუშაოს შესრულება შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

სოფელ ატენში, საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე საკანალიზაციო მილებისთვის, სპეციალური ტექნიკით, ამოითხარა ორმოები.

სექტემბრის თვეში მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა შემდეგ სამუშაოებზე:

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი განახორციელა ტრანსპორტის განყოფილების მიერ შესრულებულ ერთ-ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ ხვითში ტერიტორია დასუფთავდა ნანგრევებისაგან.

სოფელ ფლავში, ტინისხიდში, ატენში, შერთულში და კარალეთში ტრანსპორტის განყოფილების მიერ გაიწმინდა სარწყავი არხები.

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი გაუწია ტრანსპორტის გამნყოფილების მიერ შესრულებულ ერთ - ერთ სამუშაოს, რომლის დროსაც სოფელ ახრისში მოიხრეშა გზა.

ტრანსპორტის განყოფილების მიერ სოფელ ახალდაბაში გაწმინდა სანიაღვრე არხი.

სოფელ კარალეთის დევნილთა დასახლებაში, გრეიდერით გასწორდა საპლანტაციო გზები, აღნიშნული სამუშაო შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

ასევე სოფელ შავშვებში ტრანსპორტის განყოფილების მიერ მოსწორდა სასაფლაოს გზა.

სოფელ ხელთუბანში გაიწმინდა სტიქიური ნაგავსაყრელი ტრანსპორტის განყოფილების მიერ, აღნიშნული სამუშაო შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

გამწვანების და მონიტორინგის განყოფილებების მიერ სოფელ ნიქოზში და სოფელ ფხვენისში სკოლის ტერიტორიაზე მოიჭრა ხე და გაიტანილ იქნა ნარჩენი მასალა.

გამწვანების და სანრგე მეურნეობის განყოფილების მიერ სოფელ ხიდისთავში გაითიბა მუსიკალური სკოლის ტერიტორია, აღნიშნული შემოწმდა მონიტორინგის განყოფილების მიერ.

დასუფთავების და მონიტორინგის განყოფილებების მიერ რამოდენიმე სოფელში კერძოდ, სოფელ ძევერაში, შერთულში, ქიწნისში, სათემოში, მარანაში, ტყვიავში, ტირძნისში, ბროწლეთში, ერგნეთში, დიცში, ქორდში, არბოში, მერეთში, ქვეშში, ქვემო არცევში და სოფელ კარალეთში ჩაანაცვლეს და დაამატეს ნარჩენების შემკრები ურნები.

დასუფთავების განყოფილებამ სოფელ უფლისციხეში, ქვახვრელში, ხიდისთავში, ბნავისში, ატენში და სოფელ წედისში გამოცვალეს და ჩაამატეს ნარჩენების შემკრები ურნები.

მონიტორინგის განყოფილებამ მონიტორინგი გაუწია სამშენებლო განყოფილების მიერ შესრულებულ ერთ ერთ სამუშოს, რომლის დროსაც ქალაქ გორში სხვადასხვა ლოკაციაზე მოხდა დაზიანებული სკამების, საქანელების, ცხაურების აღდგენა - შეღებვა.

ასევე სამშენებლოს განყოფილების მიერ განხორციელდა სხვადასხვა ლოკაციაზე გაჩერებების აღდგენა და ახლების დამატება.

მონიტორინგის განყოფილება ასევე ყოველდღიურ კონტროლს უწევდა დასაქმების პროგრამის ფარგლებში დასაქმებული ბენეფიციარების მიერ შესრულებულ სამუშაოებს.

ასევე ყოველდღიურად კონტროლდებოდა სააგენტოში დღიურად დასაქმებული თანამშრომლებლის მიერ შესრულებული სამუშაოები.

მონიტორინგი ხორციელდება განყოფილებების მიერ საწყობიდან საქონლის გატანაზე და მათ შემდგომ ჩამოწერაზე.

7. გამწვანება და სანერგე მეურნეობის განყოფილება.

2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით გამწვანების და სანერგე მეურნეობის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში:

· გაისხლა მრავალწლიანი ნარგავები: მშვიდობის, სტალინის და ჭავჭავაძის გამზირებზე, ასევე, თბილისის, ფარნავაზის, სუზიშვილის, აღმაშენებლის, გურამიშვილის, სამეფო, ბარნოვის და თამარ მეფის ქუჩებზე.

· დასუფთავდა სკვერები და გაზონები ჩამოცვენილი ფოთლებისგან.

სისტემატურად მიმდინარეობს სკვერების და გაზონების თიბვის სამუშაოები, ასევე სკვერებში და გაზონებში ფეხით სავალი ბილიკები სუფთავდება სარეველა ბალახებისგან და იწამლება გერბიციდის ხსნარით.

· სკვერებში და გაზონებში სისტემატურად ხდება მარადმწვანე ბუჩქების და ლუგუსტრუმების დეკორატიული სხვლა-ფორმირება.

· სისტემატურად მიმდინარეობს ქალაქში არსებული მრავალწლიანი ხე-მცენარეების და ბალახის საფარის მორწყვა.

· გოგებაშვილის ქუჩაზე, სამეფო ქუჩაზე და კაჩინსკების ქუჩაზე მოხდა მცენარეების დარგვა.

· ბარათაშვილის სკვერში და თეატრის წინამდებარე გაზონში მოეწყო ყვავილნარი.

შეიწამლა ბურქოვანი და სხვადასხვა ჯიშის მერქნიანი ხე-მცენარეები, ასევე, შევიტანეთ მცენარის ძირებში მკვებავები და სასუქები.

· სისტემატურად ვახორციელებთ მერიიდან შემოსული წერილების შესრულებას და სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებზე საშეშე მერქნით დახმარებას. საანგარიშო პერიოდი ბენეფიციარებზე გაცემულმა საშეშე მერქანმა შეადგინა 200 მ$^{3.}$

· მოვახდინეთ სანერგე მეურნეობის ტერიტორიის დასუფთავება, მოიხსნა და გაფხვიერდა მიწა.

მიმდინარეობს ხე-მცენარეების გამარგვლა, გათოხვნა, მორწყვა, ნარგავების სხვლა-ფორმირება და ბუჩქების დეკორატიული ფორმირება, სათბურის და ნათესების გამარგვლა.

სათბურიდან და კვალსათბურიდან ღია გრუნტში გადაირგო სხვადასხვა ჯიშის მცენარეები.

შეიწამლა სხვადასხვა ბუჩქოვანი და მერქნიანი ხე-მცენარეები მავნებლებზე.

მოხდა მცენარეების და კალმებად დათესვა.

· შეტანილ იქნა მინერალური და აზოტოვანი სასუქები, მოირწყა აღნიშნული მცენარეები და სისტემატურად მიმდინარეობს სანერგე მეურნეობაში თიბვის სამუშაოები.

· წარმოგიდგენთ, დანართის სახით საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე გამწვანების და სანერგე მეურნეობის განყოფილების მიერ ხე-მცენარეების დარგვის და მოჭრა-გადაბელვის ადგილებს.

8.სასაფლაოების მოწყობისა და მართვის განყოფილება.

საანაგრიშო პერიოდში სისტემატიურად იგვებოდა და სუფთავდებოდა სასაფლაომდე მისასვლელი გზები, გაისხლა და მოიჭრა გამხმარი ხეები, მისასვლელი გზებზე სისტემატიურად ითიბება ბალახი. ივსება წყლის ცისტერნები. ბრიგადირსა და მუშა-მესაფლავეს ურიგდებათ სეზონური ტანსაცმელ-ფეხსაცმელი და სამუშაო ხელთათმანი.

2024 წლის 1 ოქტობრიდან 2025 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით გორის კვერნაქის სასაფლაოზე სულ დაიკრძალა: 320 მიცვალებული, არსებულში 220, გაიცა 87 ახალი საფლავი, ჯამში 1001 $м^2$ მიწა.

დაიკრძალა 9 ბიოლოგიური ნარჩენი, თვიმომსახურებით დაკრძალა - 9, მოხდა 4 საფლავის მიმატება.

2024 წლის ოქტომბრის თვეში სულ დაიკრძალა -24 მიცვალებული, არსებულში დაიკრძალა - 17, თვითმომსახურებით დაიკრძალა - 1, ორ ადგილიანი საფლავი გაიცა - 4, სამ ადგილიანი საფლავი გაიცა - 1, ოთხ ადგილიანი საფლავი გაიცა - 1, ბიოლოგიური ნარჩენი დაიკრძალა - 2, სულ გაცემულმა მიწის ფართობმა შეადგინა 60$м^2$.

2024 წლის ნოემბერის თვეში სულ დაიკრძალა - 28 მიცვალებული, არსებულში დაიკრძალა - 24, ორ ადგილიანი საფლავი გაიცა - 3, ოთხ ადგილიანი საფლავი გაიცა - 1, სულ გაცემული მიწის ფართობმა შადგინა 40$м^2$.

2024 წლის დეკემბერის თვეში სულ დაიკრძალა - 31 მიცვალებული, არსებულში დაიკრძალა -18, ორ ადგილიანი საფლავი გაიცა - 5, სამ ადგილიანი საფლავი გაიცა - 3, ოთხ ადგილიანი საფლავი გაიცა - 2, თვითმომსახურებით დაიკრძალა - 3, სულ გაცემული მიწის ფართობმა შეადგინა 108$м^2$.

იანვარის თვეში სულ დაიკრძალა 43 მიცვალებული, არსებულში დაიკრძალა - 26, ორ ადგილიანი საფლავი გაიცა - 4, სამ ადგილიანი საფლავი გაიცა - 4, ოთხ ადგილიანი საფლავი გაიცა - 3, რვა ადგილიანი საფლავი გაიცა - 1, თვითმომსახურებით დაიკრძალა - 3, საფლავის მიმატება - 2.

თებერვლის თვეში სულ დაიკრძალა -21 მიცვალებული, არსებულში დაიკრძალა - 18, ორ ადგილიანი საფლავი გაიცა - 2, ოთხ ადგილიანი საფლავი გაიცა - 1, ბიოლოგიური ნარჩენი დაიკრძალა-1.

მარტის თვეში სულ დაიკძალა - 29 მიცვალებული, არსებულში დაიკრძალა - 23, ორ ადგილიანი საფლავი გაიცა -1, სამ ადგილიანი საფლავი გაიცა - 1, ოთხ ადგილიანი საფლავი გაიცა - 1, მიმატება 15$м^2$, ბიოლოგიური ნარჩენი დაიკრძალა - 4.

აპრილის თვეში სულ დაიკრძალა - 31 მიცვალებული, არსებულში დაიკრძალა - 22, ორ ადგილიანი საფლავი გაიცა - 4, სამ ადგილიანი საფლავი გაიცა - 2, ოთხ ადგილიანი საფლავი გაიცა - 2, ბიოლოგიური ნარჩენი დაიკრძალა - 2, თვითმომსახურებით დაიკრძალა - 1.

მაისის თვეში სულ დაიკრძალა - 23 მიცვალებული, არსებულში დაიკრძალა - 14, ორ ადგილიანი საფლავი გაიცა -6, ოთხ ადგილიანი საფლავი გაიცა - 2, მიმატება 6$м^2$, ბიოლოგიური ნარჩენი დაიკრძალა -2.

ივნისის თვეში სულ დაიკრძალა - 28 მიცვალებული. არსებულში დაიკრძალა - 21, ორ ადგილიანი საფლავი გაიცა -3, სამ ადგილიანი საფლავი გაიცა - 3, ოთხ ადგილიანი საფლავი გაიცა - 1, ბიოლოგიური ნარჩენი დაიკრძალა - 1.

ივლისის თვეში სულ დაიკრძალა - 25 მიცვალებული. არსებულში დაიკრძალა - 15, თვითმომსახურებით დაიკრძალა - 1, ორ ადგილიანი საფლავი გაიცა - 3, სამ ადგილიანი საფლავი გაიცა - 1, ოთხ ადგილიანი საფლავი გაიცა - 4, რვა ადგილიანი საფლავი გაიცა - 1.

აგვისტოს თვეში სულ დაიკრძალა - 22 მიცვალებული. არსებულში დაიკრძალა - 12, ერთ ადგილიანი საფლავი გაიცა - 1, ორ ადგილიანი საფლავი გაიცა - 3, სამ ადგილიანი საფლავი გაიცა - 4, ოთხ ადგილიანი საფლავი გაიცა - 2.

20 სექტემბრის ჩათვლით სულ დაიკრძალა **-** 15 მიცვალებული, არსებულში დაიკრძალა - 10, ორ ადგილიანი საფლავი გაიცა - 1, სამ ადგილიანი საფლავი გაიცა - 2, ოთხ ადგილიანი საფლავი გაიცა - 2.

პატივისცემით,

ალექსანდრე გორგაძე

გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო-
დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გამწვანების და სანერგე მეურნეობის განყოფილების მიერ ხის მოჭრა-გადაბელვის,გასხვლის სამუშაოები
2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის სექტემბრის ჩათვლით

	მისამართი	მოჭრა	გადაბელვა	გასხვლა
N	**ქალაქი**	163	37	1112
	რაიონი			
1	კარალეთი	1		
2	ბერბუკის კოტეჯები	1		
3	თორტიზა		21	
4	ხელთუბანი	3		
5	მეღვრეკისი	1		
6	სვენეთი		2	
7	გარეჯვარი	4		
8	ბერბუკი	2		
9	ტყვიავი	7		
10	ნიქოზი		1	
11	მერეთი	4		
12	ტინისხიდი	2		6
13	ფლავი	8		
14	ხიდისთავი	7		
15	ატენი	2		
16	მეჯვრისხევი	6		
17	ზემო ხვითი		4	
18	საქაშეთი	3		
19	ფხვენისი	5	4	
ჯამი		**219**	**69**	**1118**

ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო''-ს გამწვანება და სანერეგე მეურნეობის განყოფილების მიერ ხე-მცენარეების დარგვის ადგილები 2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის სექტემბრსის ჩათვლით

N	მცენარეების დარგვის ადგილები	იფანი	კატალპა	ტუხტი	მუხა	კვიპაროსი	ტუია	ნეკერჩხალი ბოყვი	ნეკერჩხალი ბუჩქი	ტირიფი	ცხენისწაბლი	ლუგუსტრუმი	წყავი
1	ქვახვრელი, უფლისციხე	20	20	20	20	20	20			5			5
2	თავდაცვის სამინისტრო					25	25						
3	ქერეს საჯარო სკოლა	5	5	5									
4	მეჯვრისხევი	90			20								
5	ახალბაღი	40						40	20				
6	წმინდაწყალი	3		10						3			
7	ვარიანი	10	5			5	5	10			10		
8	სამეფო ქუჩა							7				100	
9	ახრისის სკოლა	10	10										
10	კარბის სკოლა		5	15			5			5			
11	ტყვიავი					5	5		5	5			
12	ნიქოზი					5	5			6			
13	ეთნოგრაფიული მუზეუმი			10		5	5						
14	გოგებაშვილის ქუჩა					18							12
15	სკოლამდელი აღზრდის სააგენტო		5	5	5	5	5						